გაზეთი ღირს

| თვეზე | მან. კ. | თვეზე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ნიდეველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888



გამოვიდა და ისყიდება

ახალი ქართული წიგნი

**მამიდა ასმათი**

მოთხრობა

გ. წერეთლისა.

გამოცემული „ივერიის“ რედაქციის მიერ.

ფასი 20 კ.

წიგნი ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საწყობში, ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე.


ტფილისი, 12 აგვისტო

რადგანაც ბ-ნ პ. მირიანაშვილმა უარ-ჰყო ენის საკუთარი ისტორია და აღვიარა, რომ ენის აღორძინება, განვითარება დამოკიდებულია ხალხის ერთობაზედაო, ამიტომ საჭირო იყო ავტორს აეხსნა — როდის და საქართველოს რომელს თემში დაიბადა საზოგადო, სამწერლო ენა. ახსნა, განმარტა კიდეც: რომელ თემშიაც პირველად იწყება მოქალაქობრივი ცხოვრება, იგივე თემი ჰქმნის საზოგადო, სამწერლო ენასაო. „ჩვენშიაც ეგრე ყოფილა. ზემო-ქართლიდამ ენაც გამთავრ და საქართველოს დანარჩენ თემთათვისო“, ბრძანებს ახალგაზდა ფილოლოგი. თუმცა სიტყვა „ზემო-ქართლი“ ახალი სიტყვაა და ჩვენს ძველს ისტორიაში, როგორც გეოგრაფიული ტერმინი, ვგონებთ არ იხმარება, მაგრამ მაინც პ. მირიანაშვილი ამბობს, რომ ზემო-ქართლი მესხეთსაც შეიცავდაო და სწორედ ამ მესხეთის კილომ დაისაკუთრა მოქალაქობა მწერლობაშიო. ავტორის სიტყვებიდგან გამოდის, რომ მესხეთმა და მხოლოდ მესხეთმა მიანიჭა სრულიად საქართველოს სალიტერატურო ენა. კარგი და პატიოსანი, მაგრამ ახალგაზდა ფილოლოგი სრულებით ვერაფრით ამტკიცებს თავისს აზრს. ის გარემოება, რომ მესხეთს უფრო მჭიდრო და ახლო დამოკიდებულება, კავშირი ჰქონდა ბიზანტიასთან, ამ ბიზანტიის განათლების სხივი უფრო ძლიერ ეფინებოდა მესხეთს, ვიდრე საქართველოს სხვა თემს, სრულებით არაფერს არა ხსნის. სულ პირველად ქართლში ჩაისახა და მერე აღორძინდა კიდეც სახელმწიფო, მოქალაქობრივი ცხოვრება. პირველად ქართლმა დაიწყო ცნობიერი ისტორიული ცხოვრება. მოქალაქობრივს ცხოვრებას ზედ უნდა მოჰყოლოდა განათლებაც და საკვირველი არ არის, რომ ვინც პირველად დაარსა ერთ-მთავრობა, სახელმწიფო (ფარნავაზ, III საუკ.), იმან შემოიღო ანბანიც — ეს უძლიერესი იარაღი განათლებისა. თუ ასეა, მაშ ქართლის ენა, კილო შეიქმნა საზოგადო, სამწერლო ენად. მართალია, მესხეთში მერვე-მეცხრე საუკუნიდგან იწყება განათლების გავრცელება, სწავლა-განათლების ლამპარი იქ უფრო გაჩაღებულია, ვიდრე შედარებით საქართველოს სხვა კუთხეში, მაგრამ ამ გარემოებას ჩვენის საგნისათვის მნიშვნელობა არა აქვს და აი რისათვის: მინამ მესხეთში, ბიზანტიის გავლენის გამო, სწავლა-განათლება მოიფინებოდა, მოქალაქობრივი ცხოვრება განვითარებული იყო ქართლში.

სახელმწიფოს დაარსებას თან მოჰყვა საერთო ენაც და უამისოდ ხომ სახელმწიფო ცხოვრება შესაძლო არ იყო. გარდა ამისა, თუ ჩვენი ახალგაზდა ფილოლოგი მართლა თავის დედა-აზრს მტკიცედ ადგია, ისიც არ უნდა დაივიწყოს, რომ მესხეთი თვით-მომქმედს ძალას თითქმის არასოდეს არ შეადგენდა და თუ თავი იჩინა სახელმწიფო ცხოვრებაში, მხოლოდ მაშინ, როცა საქართველოსთან ერთად შევა ცხოვრების უღელში. წინად-კი უმეტეს ნაწილად მესხეთი საკუთარს არას წარმოადგენდა, სხვების ხელში სათამაშო ბურთი იყო და სხვა არაფერი. სულ სხვას ვპოვებთ ქართლში. თუ სადმე საერთო რამე იყო, უოველთვის უფრო ქართლში მოიძებნებოდა....

პირუთვნელი ახალგაზდა ფილოლოგი ისე გაუტაცნია მესხეთის სიყვარულს, რომ უბრალო ისტორიული ჭეშმარიტებაც-კი ავიწყდება, როცა ამბობს, რომ პირველი მთარგმნელები (რასაკვირველია, საეკკლესიო წიგნებისა) მესხები იყვნენო“... „მერვე საუკუნიდამვე იწყება იმათი მოღვაწეობაო“... მაგრამ ჯერ ისევ მირიან მეფის შვილმა, ბაქარმა (342—364 წ.) ბერძნულის ენის მცოდნემ ქართულად შემოიღო წირვა-ლოცვა, გადაათარგმნინა ბერძნულიდგან და ასურულიდგან საეკკლესიო წიგნები ქართულს ენაზედ. მეხუთე საუკუნეში გამოჩენილმა მთარგმნელებმა — დავითმა, სტეფანემ და სხვ. იერუსალიმის მონასტერში სთარგმნეს ბევრი საეკკლესიო წიგნი ქართულად; მეფე მირდატ V ათარგმნინა წმ. სახარება, რომელიც ვახტანგ გორგასლანის ნაქონები ყოფილა და ბროსეს შიო-მღვიმის მონასტერში უნახავს. ნეტარ-ხსენებული გიორგი მთაწმინდელი ამბობს, რომ ქართველებს ძველის-ძველადგანვე ჰქონდათ ნათარგმნი სამღვთო წერილი და საეკკლესიო წიგნები...

ეს მაგალითები არა თუ მარტო ჩვენის ფილოლოგის შეცდომას ლალადებენ, აგრეთვე ასაბუთებენ, ამტკიცებენ ჩვენს აზრს — ქართლში პირველადვე, დაშორებით ადრე, მანამ მესხეთი განათლების მოედანზე გამოვიდოდა, არსებობდა საერთო, სალიტერატურო ენა, იმდენად განვითარებული და შემუშავებული, რომ ადვილად მოხერხდა სამღვთო წერილისა და საეკკლესიო წიგნების თარგმნა. მიუცილებლად ასეც უნდა ყოფილიყო და თუ ასე იყო, მაშ როგორ და რა ნაირად დაისაკუთრა „მესხეთის კილომ მოქალაქობა მწერლობაში“? ეს კილოს დასაკუთრება ყოვლად შეუძლებელი იყო, რადგანაც კილოც არსებობდა და საერთო სალიტერატურო ენაც. ის გარემოება, რომ კლასიკურის ლიტერატურის წარჩინებული წარმომადგენელნი მესხეთიდგან იყვნენ, სრულებითაც არ ამტკიცებს ვითომ მესხურს კილოს დარჩა ბურთი და მოედანი. საჭიროა დამტკიცდეს, რომ რუსთაველი და შავთელი მესხურ კილოთი სწერდნენ, მაგრამ ამის დამტკიცება ხომ შეუძლებელია. თუ არ დავივიწყებთ, რომ ჩვენი ენაც განვითარების კანონს ემორჩილებოდა, ნელ-ნელა სისრულეში შედიოდა და ბოლოს რუსთველებურმა კილომ დააგვირგვინა იგი, მაშინ მიუცილებლად უნდა დავასკვნათ, რომ რუსთველი საერთო ქართულის კილოთი სწერდა და არა მესხურითა, თუ გნებავთ — თავისებურად, რუსთველებურად და უოველ შემთხვევაში არა მესხურად.

მაგრამ განათლებისა და ბიზანტიის ზედ-მოქმედების გარდა, მეორე გარემოებაც ხელს უწყობდა მესხურს კილოსაო, განაგრძობს პ. მირიანაშვილი. ეს მეორე გარემოება გურამ ბაგრატოვანის გამეფებააო. „ბაგრატიონთა გვარი მესხეთიდგან არის გამოსული. ამ გვარმა თავის ახალს საბძანებელს ენაც მიაღებინა (!!!). ამ გარემოების წყალობით მესხეთის ენას მიენიჭა მოქალაქობრიობა ქართულს მწერლობაშიო“... გამოდის, რომ გურამ ბაგრატოვანი მესხი ყოფილა და მესხური ენა ბაგრატოვნებს მიუნიჭებიათ საქართველოსათვის. მაგრამ ჯერ ერთი ესა, რომ პირველადვე, ქართლოსიანებიდგან დაწყებული, საქართველოს თავისი საკუთარი ენა ჰქონდა და ბაგრატოვანნი რა ენას მიაღებინებდნენ ახალს საბძანებელს, ან რა საჭირო იყო ეს მიღებინება... მეორედ — ბაგრატოვანთა გვარი საქართველოს ტახტზედ ავიდა მეექვსე საუკ. და თვით გურამ მეფე გარდაიცვალა სწორედ მაშინ, როცა მეექვსე საუკუნე შესრულდა. ხოლო მეექვსე საუკუნემდე საქართველოს ყველაფერი თავისი საკუთარი მოეპოვებოდა: მწერლობაცა და ენაც... მესხეთი იმ დროს უბრალო პროვინციას შეადგენდა, რომელიც არც კულტურითა და არც ენით შესანიშნავი არ იყო. მან მხოლოდ შემდეგში იჩინა თავი, სწორედ მაშინ, როცა ცოტ-ცოტაობით [illegible] დიდება მთლად საქა[illegible]ში.. გარდა ამისა ბაგრ[illegible]თა გვარის ჩამომავლობა გან[illegible]ვებულს, განსხვავებულს მნიშვნელობას არასოდეს არ

# ფელეტონი

## წადილი

ნეტარ რატუარ ვიმღერი,
სტვირთან რა მაქვის საწყრომი,
რატომ არა ვსწმენდ გულს ჟანგსა,
არ ვიტყვი, რაც მაქვს სათქომი?!
მე ხომ მოკლე მაქვს სიცოცხლე,
ცივი მიმღის სადგომი.
რაც ვისა ჰსურდეს, იუბედოს,
მე მოვიხადო ვალია,
ცოტად დატეტოს მიწასა
მთაში გაზდილის კვალია,
ერთს მაინც ჩემსა მომმესა
მოუწყლიანდეს თვალია.
სამღერლად გული ბოყირობს,
რამდენი ცოდვა-ბრალია!
კიდევ ილვიძებს გულშია
მიმინებული ძალია.
მინდა შავეთში მომღერალს
სტუმრად მწვევიყვნენ მთანია,
თან კლდენი შავგვრემანნი,
მთების მამშვენნი მმანია;
იანიც მინდან მტირალნი,
შველ-გაბიანნი დანია,
მორცხვთა, უმზაკვროთ, უგესლოთ
მხრებს უმშვენებენ თმანია,
გულს ნაღასვრს, ჩამოდაგულსა
დაჰქრიათ ცრემლთა ცვარნია
ყველასგან დავიწყებულო,
ბულბულავ, შენცა მნასია,
ველად, ველურად გაზდილი
მიჩვენე შენი სახია,
რად ეტანები მაღალს მთებს,
არ გნახო, შენზედ ახია!
რად არ მოსდიხარ სოფლის პირს,
ყველამ დაგიგოს მასია?!
მალუმად მიყვარს, ობოლო,
შენი იერი მკვასია.
არწივნო, ცის პირთ მავალნო,
მკირად მნახველნო ბარისა,
დოსტოდრივ მჭრელნო ღრუბლების,
თანაც მზიდველნო ქარისა,
თქვენის დასწრებით ამშვენოთ
მღერა ფიქრების მწარისა.

ვაჟა-ფშაველა

## წერილი პროვინციიდამ

მოლა ნასრედინას უთხრა თავისმა შეგირდმა: „მოლა ეფენდი! რა მიზეზია, რომ ყოველი ასო სხეულისა გეზრდება და ყურები-კი არაო?“ ამაზედ მოლამ უპასუხა: „ყურები ადამიანს იმისთვის არ ეზრდება, რომ ესმით ყოველი ავი და კარგი, ავი უფრო მომეტებული, ვიდრე კარგი, და აბა ამდენის ავის გაგონებით, არა თუ გაიზრდება, კიდევ კარგი ღვთის წყალობაა, სულ რომ არ ილევაო“.

ნასრედინის დროს თუ ავი და ძვირი უფრო ბევრი ყოფილა გასაგონი, ვიდრე კარგი, ჩვენი დალოცვილი დროც ვერას დაიკვეხებს და თავს ვერაფრით ვერ მოიწონებს. ჩვენშიაც დღე მუდამ ავი და ძვირი გესმის შენს მოძმეზე, შენს საკუთარს ძმაზე, შენს მამულიშვილზე. გული გიკვდება, სული გიწუხს ამდენის უბრაობით, ამდენის ერთმანეთის კიცხვა-ლანძღვით. დღეს ასეთს ლანძღვა-თრევასა, კიცხვასა და კილვას აქვს მხოლოდ დიდი ბაზარი, დიდი გასავალი.

ნეტა იმათ ეძრახოდეს ასეთი საქციელი, ვინც სიბნელით არის მოცული, არა ესმის-რა. კიდევ არა უშავდა-რა. მაგრამ ჩვენი უბედურებაც ის არის, რომ ჰკრაობენ, ავობენ და შფოთავენ ამ გვარად ისინი, ვინც თავისის ნასწავლობით, გონების წარმატებულობით უნდა იყოს ჩვენის ცხოვრების ყვავილი და თაიგული, ვისაც დაუმთავრებია სწავლა-განათლება და, რასაკვირველია, წინ-სვლა წარმატების გზაზედ იმათზედ არის დამოკიდებული. სამწუხაროდ ჩვენდა, ჯერ-კი სიკეთეს ვერასა ვხედავთ ამათგან. ავი მაგალითები-კი ბევრია და ჩვენც, უბირნი და უსწავლელნი, ამ ავს მაგალითებს შევსცქერით.

რასაკვირველია, განათლებას ყოველთვის და ყველგან დიდი ფასი ჰქონია და ექნება. მაგრამ განათლება და განათლებული კაცი ისე არსად არ არის საჭირო, როგორც პროვინციაში, იქ განათლებულს დიდი ასპარეზი აქვს სამოქმედოდ, რასაც ის აქ კეთილს დასთესს, ერთი ათად გამოიღებს ნაყოფსა, მაგრამ, თუ კეთილის ნაცვლად, ღვარძლს ჩააბნევს, მაშინ უმეცრებას უფრო მოუმართავს ხელსა, რადგან უმეცარი ხალხი იტყვის: თუ სწავლა დამთავრებული ასე უგვანოდ იქცევა, მე უფრო ვინ გამამტყუნებსო.

თითქმის ასე იქცევიან აქ ჩვენს პროვინციაშიაც ზოგიერთი ვაჟბატონები, სწავლა დამთავრებულნი.

**

ამას წინად გაზეთს „ივერიაში“ და „თეატრშიაც“ დაბეჭდილი იყო გორიდამ მოწერილი ამბავი ერთის სკოლის ზედამხედველის შესახებ. ავტორი წერილისა საშინლად ჰკიცხავს ბ-ნს ზედამხედველს სკოლისას:

ამ გვარი კიცხვა და ბრალის დადება ისეთს კაცზე, რომელიც არც სულითა და არც ხორცით დამნაშავე არ არის სკოლის შეგირდების გამო, მეტისმეტია. მეტის მეტი, ცეტის ცეტიო, სწორედ ასე მოსულია მოამბეს. ახლა ვინ არის ეს ზედამხედველი, რომელსაც ასე ჰკიცხავენ? ეს ის ზედამხედველი გახლავსთ, რომელიც სულ რამდენისამე თთვის წინად „ივერიის“ საკუთარის მოამბისაგან გორიდამ მოწერილს ამბავში იყო ნაქები. მოამბე სწერდა, რომ ახალი ზედამხედველი ძალიან სცდილობს ფეხზედ წამოაყენოს მეტად დაცემული და დაუძლურებული სასწავლებელიო, სცდილობს დააწინაუროს სკოლაო. აქ მეტი არ იქნება ვსთქვათ, რომ

ანიჭებდა მესხეთს და ეს იმიტომ, რომ ბაგრატოვანნი მესხის ჩამომავლობას არ ეკუთვნოდნენ, მესხეთიდგან როდი იყვნენ გამოსულნი, როგორც ბძანებს ჩვენი ფილოლოგი, — არა, ჩვენი ბაგრატოვანნი გასომხებული ებრაელნი იყვნენ და თვით გურამის მამამ კლარჯეთი და ჯავახეთი იმიტომ მიიღო, რომ ჯვარი დაიწერა ვახტანგ გორგასლანის ქალზედ. თუ ეს ასეა, მაშ რამ აიძულა ბაგრატოვანები, რომ იმათ „ახალს საბძანებელს ენაც-კი მიაღებინეს“? არაფერმა და ეს იმიტომ-რომ „ენის მიღებინებაცა“ და მესხეთის კილოს გამეფებაც ქართულს მწერლობაში ახალგაზდა ფილოლოგის ფანტაზიის ნაყოფია და არა ნამდვილი ისტორიული ამბავი.

ნ. უ—ელი

## ახალი ამბავი

⁂ ტფილისის იარმუკაზე ხშირად ისეთი წიგნები გამოაქვსთ და ჰყიდიან, რომ განგებ ეძებოთ, ვერსად იპოვნით. ამ დღეებში იქ გაიყიდა რამდენიმე ძველი ქართული წიგნი და სხვათა შორის ერთი ძველი „დაბადება“, დაბეჭდილი 1744 წ. ბატონიშვილთ ვახუშტისა და ბაქარისაგან. ეს წიგნი და მრავალი სხვა ძველი წიგნები შეიძინა ბელგიელმა ბ-ნმა ფრეიმ, რომელიც კარგა ხანია ტფილისში სცხოვრებს, შეისწავლა ქართული ენა, მწერლობა, ისტორია და სხვა-და-სხვა ძველს წიგნებსაც აგროვებს.

⁂ ტფილისის მეძეხვეების საქციელს სწორედ რომ საჭიროა ყურადღება ექმნას მიქცეული. ძეხვებს აკეთებენ ყოველ ნაირის საქონლის ხორცისაგან. ხშირად ავადმყოფ საქონლის ხორცსაც ურევენ. ასეთ საქონლის ხორცისაგან გაკეთებ[illegible]ხვი კვირაობით იარმუკაზე გ[illegible]ქვსთ ფ[illegible] და გირვანქას შაურიდამ რვა[illegible]ამდის ჰყიდიან. ასეთის საძაგელის[illegible] სანოვაგის მუშტარია, რასაკვირველია, ღარიბი და საწყალი ხელოსანი ხალხი.

⁂ კიდევ ჯიბგირებზე: ეხლა ტფილისში მოქმედებენ ერთ ნაირი ჯიბგირები, რომლებიც უფრო ხელოვნურად ასრულებენ თავიანთს საქმეს და, როგორც ამბობენ, სხვა ჯიბგირებზე მეტს საშოვარს შოულობენ. ეს ამხანაგობა შესდგება რვა კაცისაგან და რამდენსამე დასად არის დაყოფილი. ჯიბგირები ისე მშვენივრად, ევროპულად, მორთულნი დადიან, რომ იმათზე ეჭვის აღება ძნელია, თუ სადმე საქმეზე ვერ დაიჭირეს. დილით საათის ათზედ გაიყოფებიან რამდენსამე დასად და ზოგი სახელმწიფო ბანკში მიდის, ზოგი ხაზინაში და ზოგი კიდევ კერძო ბანკებში. პალტოსა და ქუდს მიაბარებენ შვეიცარს, თითონ-კი შებრძანდებიან და დაიწყებენ დარაჯს, თუ ვინ რას იღებს, ანუ რას აბარებს ბანკში და მიღებულს ფულს სად ჩაიდებენ და როგორ ინახვენ. თუ ვინიცობაა, მიმღებმა ფული ისე შეინახა, რომ ადვილი ამოსაღებია, მაშინ დარდიმანდი ჯიბგირი კვალდაკვალ გამოუდგება და სადაც უფრო მოსახერხებელს ადგილს დაინახავს, იქ ამოაძრობს ჯიბიდგან ფულს და თავის გზას გაუდგება. ამას წინად ერთი სოფლის მღვდელი ჩამოსულა ტფილისში. ამ მღვდელს გამოუტანია ფული საკრედიტო საზოგადოებიდგან—ას ოცი თუმანი და ჩაუდვია უბის ჯიბეში. ერთი იმ ჯიბგირთაგანი გამოჰყოლია და, რომ ვერა მოუხერხებია-რა, მისულა და უთხოვნია: მამაო, სასამართლოში წამობძანდით, დასაფიცებელი ვინმე არის და შრომის ფასსაც მიიღებთო. მღვდელიც დათანხმებულა და გაჰყოლია, მაგრამ ეჭვი აუღია და თავი დაუღწევია ჯიბგირისაგან. ორი ამ გვარი ჯიბგირი პოლიციას უკვე შეუპყრია.

⁂ ჩვენ გვწერენ, რომ ფრონის ხეობაზე, სოფელს ყორნისში შემდეგი შემაძრწუნებელი ამბავი მომხდარა. ყორნისის ხეობასა და იმის ახლო-მახლო სოფლებში სცხოვრებენ ოსები, რომლებსაც დადებული აქვსთ ერთი დღეობა, ესრედ წოდებული „კარაშვეთობა“. ეს დღეობა მოდის სული-წმინდის მოფენის შემდეგ, მეშვიდე კვირიაკის სამშაბათს. ამ დღეს სალოცავად თავს იყრის ყველა სოფლებიდგან მრავალი ოსი, ქალი და კაცი. აგრეთვე ცხინვალიდგან მოაქვსთ გასასყიდად რამდენიმე ურემი ღვინო, რომელიც იმავე დღეს საღდება. წელს ეს დღეობა 2-ს აგვისტოს მოხდა. ნაშუადღევს ხალხი აიშალა და წავიდ-წამოვიდნენ სახლისაკენ. აგრეთვე სოფელ თორმანეულის მცხოვრებნი ერთად გაემგზავრნენ თავიანთ სოფლისაკენ. ამ დროს სოფ. ყორნისიდგან ათიოდე ახალგაზდა კაცი დაედევნენ უკან, დაუშინეს ხანჯლები და ხმლები ამ საბრალო თორმანეულელებს. ერთს სოფლელს, 32 წლის ყმაწვილ კაცს, ს. ბიქოშვილს, ხმლის შემოქნევით თავი გააგდებინეს. ამასთანავე შვიდი სხვა დასჭრეს, იმათ შორის ორი კაცი სასიკვდილოდ. შესანიშნავი ის არის, რომ ყველა ზურგიდგან არიან დაჭრილები: ზოგი კისერში და ზოგი ბეჭში. მეორე დღეს ამოვიდნენ ცხინვალიდგან ბოქაული, გამომძიებელი და ექიმი მიცვალებულებისა და დაჭრილების სანახავად. ბოქაულმა ერთი დამნაშავეთაგანი, ჯიოშვილი, დაიჭირა და მაშინვე გორისაკენ გაამგზავრა. სხვებზე გამოძიება სწარმოებს.

⁂ **ბარის ოსეთი**: 8-ს წარსულს თიბათვეს აქეთ პირველ მარიამობისთვემდე ცის ნამი არ ჩამოვარდნილა ბარის ოსეთში. ოც-და-ათს მკათათვისას და პირველს ამ თთვეს მცირე წვიმა მოვიდა და ცოტა გააგრილა გადამწვარი მინდვრები, მაგრამ რაღა დროს, ნათქვამია „მინამ პეტრე მოვიდა, პავლეს ტყავი გააძრესო“. სიცხემ თავისი დაჰმართა სიმინდ-ღომიოს და ფეტვებს და ეხლა გინდა მოვიდეს და გინდა არა.

⁂ **კავკავი**: „თავად არ იყო ძმარიო და ზედ დაასხეს წყალიო“ სწორედ ასე მოსდით წელს ბარის ოსებს. ჯერ სულ მცირე მოსავალი იყო ბარის ოსებში და რაც იყო, ისიც ზოგი სიცხემ იმსხვერპლა, ზოგი ცეცხლმა და ზოგი რამ. წარსულის თთვის მიწურულებში დაიწვა ყაზახის სტ. არხონკას მინდორი. მინდორში ბლომად დაიწვა დადგმული თივები, მომკილი პურები და ქერები. მდევრებმა დიდი მეცადინეობა გამოიჩინეს და მალევე გააქრეს ცეცხლი, მაგრამ მაინც შეუბრალებელმა სტიქიონმა დიდი ზარალი მისცა არხონკელებს.

⁂ სოფ. თუღანთყაუ (კავკავის მაზრა): მკათათვის მიწურულებშივე ჩვენს სოფელში მინდვრად ოც-და-თექვსმეტი დღიური პური გადაიწვა. ყანები ზოგი მომკილი იყო და ზოგი მოსამკალი. ვერა გადაარჩინეს-რა, სულ ერთიან ცეცხლის მსხვერპლი შეიქმნა. თუმცა ბარის ოსეთში საქებარი მოსავალი არა ყოფილა წელს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ზომიერ ფასად იყიდება სხვა-და-სხვა სანოვაგე.

⁂ **კავკავი**: ბარისა და მთის ოსების მიერ დადგენილი განაჩენი ურვეთისა, ქელეხისა და სხვა ძველ ჩვეულებათა შემცირების თაობაზე დამტკიცებულ იქმნა თერგის ოლქის უფროსის ბ-ნის სმეკალოვის მიერ.

⁂ **მოზდოკის** სამოქალაქო სკოლის მასწავლებელმა ერთი ფრიად სასიამოვნო ამბავი გვიამბო. მოზდოკში მცხოვრებს ქართველებს დიდი სურვილი აქვსთ, რომ ამ ქალაქის ხსენებულს სამოქალაქო სასწავლებელში ქართველებისათვის ქართული ენა შემოღებულ იქმნას და ყმაწვილებსაც ასწავლონ იმ წესით, რა წესითაც ამ სკოლაში სომხურს ენას ასწავლიან იქ მცხოვრებს ისეთ სომხებსაც-კი, რომელნიც მხოლოდ სარწმუნოებით ეკუთვნიან სომხის ეკკლესიას, თორემ სხვაფრივ ენითა, ჩვეულებითა და ზნით, ისინიც ისეთივე ქართველები არიან, როგორც ნამდვილი ქართველნი. მოზდოკის ნამდვილ ქართველთ მცხოვრებთ რიცხვი ორას კომლზე მეტია თურმე. ამათ გადაუწყვეტიათ, რომ მალე თხოვნა გაჰგზავნონ სამინისტროში, რათა ქართულს ენას იმათს შვილებს ისე ასწავლიდნენ, როგორც სამშობლო ენას.

⁂ **დ. საჩხერიდგან** გვწერენ, რომ იქაურ ქართულის სცენის მოყვარეთა, კნეინა მაკრინე წერეთლის თაოსნობით, 28 ივლისს გაუმართავთ წარმოდგენა ტფილისის სასწავლებლის ღარიბ მოსწავლე ქალთა დამხმარებელის საზოგადოების სასარგებლოდ წარმოუდგენიათ კომედია „ეხლანდელი სიყვარული“ ბ-ნ ე. აბაშიძის მიერ გადმოკეთებული და თავადის გ. ერისთავის „ძუნწი“. წარმოდგენის შემდეგ გაუმართავთ ცოცხალი სურათები. ხარჯს გარდა დარჩენილა 110 მან. აქედგან 15 მან გადაუციათ კნეინა სადიკო წერეთლისათვის, რათა წერა-კითხვის საზოგადოება გაუგზავნოს, რადგანაც შარშან სცენა, თუ არა ვსცდებით, „წერა-კითხვის საზოგადოებას“ უძღვნეს სცენის მოყვარეებმა. მადლობას უძღვნიან საჩხერელები კნეინა სადიკო წერეთლისას და თავ. გ. წერეთელს, რომლებმაც შემწეობა აღმოუჩინეს წარმოდგენის მოთავეებს.

⁂ **ქვემო-აჭარა**: ამ ჟამად ჩვენში ერთი ავადმყოფობა მძვინვარებს. ამ ავადმყოფობას ბოლმანჩეს ეძახით აქაურები. სოფ. აკარაში ერთს დღეს სამი მამაკაცი და ორი ბავშვი იმსხვერპლა. წამლების ხსენებაც არ არის და ამიტომ იმ სოფლის მცხოვრებლები მეტად შეწუხებულნი არიან.

⁂ იქიდამვე გვწერენ, რომ კაცის-კვლა გავრცელებული არის სოფ. დერჩოხნაში. ორი კაცი მოუკლავთ, უსუფა თაიკავი-ოღლი და მეორეც ამის მკვლელის ნათესავი, რომელიც უსაფას ძმებმა მოჰკლეს. ხალხი მეტად შეშინებულია და სახლებიდგან ვერ გამოსულან სამუშაოდ. შუადღის უკან და საღამოს პირს იმ სოფელში კაცს გავლა არ შეუძლიან, რადგანაც ყველგან მტერი ელანდება. შვიდს ამ თთვისას სოფ. უჩხიტში ერთი პატიოსანი კაცი ალი-აღა-მოლა-ისმაილ-ოღლი ბაირამს დღეს თავისს სახლში დაჰმალვოდა თავისს მტრებს. საწყალმა იფიქრა თურმე დღეს ჩვენი ბაირამი არისო და გარეთ გამოსვლა მოიწადინა. მოვიდა თუ არა კარებთან, მტრებმა თვალი მოჰკრეს და თოფი ესროლეს. საწყალს ტყვია შიგ გულში მოჰხვდა და იქვე სული გაანთხევინა. მთავრობამ დიდი ყურადღება ათხოვა ამ საქმეს და შეპ-

---

გორის სამოქალაქო სასწავლებლის შეგირდები ერთობ ზნეობა გახრწნილნი იყვნენ; მეორე და მესამე კლასებში საცოლო კაცები ისხდნენ აგერ ერთი წელი სრულდება, რაც მოვიდა ინსპექტორად ბ. მ—ძე, რომელმაც მიიღო ასე დაძაბუნებული სკოლა, ფიცხლავ მიჰყო ხელი და ის განკარგულებანი მოახდინა, რომელიც იყო დასახელებული „ივერიის“ საკუთარის მოამბისაგან. დღეს სულ იმისს ცდასა და ზრუნვაშია, რომ სასწავლებელი გასწმინდოს წვერ-ულვაშებიან შეგირდებისაგან, რომლებიც ჰრყვნიან პატარეებს და საზოგადოდ ჰხრწნიან მთელს სასწავლებელს. აბა წარმოიდგინეთ, ამისთანა კაცი რა სალანძღავია და გასაკიცხავი? ვიმეორებთ, რაც ის კაცი გორში გაამწესეს, ერთი წელი არ გასულა და დღემდის არა დაუშავებია-რა გასაკიცხავი. ავტორი-კი სწერს: ექვსი შეგირდი გამორიცხა სკოლიდგანაო, და ამ გარემოებას დიდს ცოდვად უთვლის. თუმცა ავტორს ლანძღვა-კიცხვაზედ ძალიან მჭევრ-მეტყველური სიტყვა და ნაპერწკლიანი კალმის წვერი უხმარია, მაგრამ ყველა ეს კაცმა ღირსეულად უნდა იხმაროს: ბოროტის ასახოცად და არა მართალისა და უდანაშაულო კაცის საგმობლად. დიმიტრი თავდადებული ამბობს, როცა გადიწყვიტა გულში თითონ გაეწირა სიცოცხლე და ქვეყანას-კი არა დაჰკლებოდა-რა:

მე ერთი ვარ, თქვენ მრავალი,
გვიჯობს ერთით ბევრის რჩენა

ამისი არ იყოს, თუმცა სკოლის ზედამხედველმა ექვსი გარყვნილი, კაფუჭებული შეგირდი გამორიცხა, სამაგიეროდ ავს მაგალითს გადაარჩინა სამასამდე მოსწავლე, რომელნიც იმ სკოლაში სწავლობენ. არა სჯობს ექვსის შეგირდის მსხვერპლად შეწირვა სამასისათვის? არა სჯობს ექვსის, ზნეობით დასნეულებულის, შეგირდების მოშორება, რომ დანარჩენი ნორჩი ბავშვები დაიხსნას და დაიფაროს ავ ზნეობისა და გარყვნილებისაგან.

მოამბე მით უფრო ჰკიცხავს იმ ზედამხედველს სკოლისას, რომ იმან მიიღო განათლება თავისის საკუთარის შრომითა და მეცადინეობით; არავინ შესწევნია თავისს ბავშვობაში; და სწავლას მაინც არ სცდებოდა; მეცადინეობამ და ნიჭმა თავისი გაიტანეს და დღეს ამ კაცს კაცი ჰქვიან. მაგრამ განა დასაცინი და დასაძრახისია ვინმე იმიტომ, რომ სიღარიბესა და ობლობაში აღიზრდა და თავისის საკუთარის მხნეობითა და მეცადინეობით განათლებაც-კი მიიღო?! უნდა ვაქებდეთ კიდეც, რომ იმისის ქებით სხვანიც წავახალისოთ. ამ გვარი კიცხვა-ლანძღვა, პორიკანობა და ჩინჩხვრის კრეფა მხოლოდ ზოგიერთმა კერპმა, მოუტეხელმა, მოხუცმა დედაკაცებმა იციან და სრულიად არ შეშვენით განათლებულთა.

ისტორია კაცობრიობისა სავსეა იმისთანა კაცთა ცხოვრების აღწერით, რომელნიც დაბალის ხარისხიდამ მაღალზედ ასულან; ზოგი მწყემსი ყოფილა, ზოგი უბრალო მუშა, ზოგი მოსამსახურე, ზოგი მოჯამაგირე, მაგრამ თვისის საკუთარის შრომით, ჭირის ოფლის წმენდით გამხდარან მეთაურებად, შესანიშნავ კაცებად, რომელთა მაგალითი მზევებრ ბრწყინავს და გვინათებს გზასა და კვალს. ვის მოუტრიალდება ენა და ვინ გაჰკიცხავს იმათა? ვისა აქვს თავი მთელი, რომ იმათზედ საყვედურის სიტყვა სთქვას? მაგალითად, მაშ ბ-ნი სემენსი ქების ღირსი არა ყოფილა, რადგანაც, არა თუ ბავშობის დროს, არამედ მოზრდილიც. ძეხვებსა ჰყიდდა, ის სემენსი, რომელმაც ერთის რკინის გზის მოსამსახურის შემწეობით გახდა ტელეგრაფისტი და ტელეგრაფისტობიდამ ისეთი სახელოვანი, როგორიც არის დღეს.

⁑

თავი მოვაბეზრე მკითხველებს კორრესპონდენტისაგან მოჭორილის ამბების ვამო. ეხლა სხვა ვსთქვათ რამე. ამ დღეებში აქ მოვიდნენ არტისტები: ბ-ნი ქორიძე, ქ-ნი ძნელაძისა და ბ-ნი ჯანოიანცი, რომელთაც ორჯელ გამართეს კონცერტი. ხოლო მეორე დღეს გამართა სასარგებლოდ გორის საპყრობილის პატიმართა, გორის მაზრის უფროსისა და იმისის თანაშემწის თაოსნობითა და მეცადინეობით. თუმცა კონცერტებმა ძალიან კარგად ჩაიარა, ხალხი აღტაცებაში მოდიოდა და „ბრავო“-„ბისს“ ძახილს საზღვარი არა ჰქონდა, შემოსავალიც გვარიანი იყო...

კონცერტი თუმცა რუსულად იყო, მაგრამ ერთი ქართულიც ძლივს ძლიობით გამოურიეს და ბ-ნმა ჯანოიანცმა „წიწერნაკი“ იმღერა სომხურად, რადგან ზოგიერთმა ახალგაზდა სომხებმა მრავალ გზით გამოუძახეს ჯანოიანცს და უძახდნენ: „ჰაერენ!!! ჰაერენ!!!“ (სომხურად, სომხურად), თუმცა-კი სომხური იქ მყოფთაგანს ორსამს არ ესმოდა. მაგრამ მაინც თავაზა მოითხოვდა ჩვენებურებს ჩვენებურადაც ემღერნათ ქართულადა და სომხურად.

უნდა-კი ვსთქვათ, რომ ამ ჟამად სომხები ძალიან ფხიზლად ეკიდებიან საქმეს; ერთგულად სცდილობენ თავისის დედა-ენის განკარგებასა და გამშვენიერებისათვის. თუმცა დღეს, საზოგადოდ რომ ვსთქვათ, აქაურმა სომხობამ თითქმის ინჩი არ იცის სომხურისა და, თუ უყვარს, პლატონებრ უყვარს მხოლოდ, მაგრამ ახლა-კი აქაურს სომხობას საკუთარი სკოლა აქვს, დღეს-ხვალ ისწავლიან ენასაც, გამოიწერენ გაზეთებსა და ჟურნალებს და იმით შეეწევიან სამშობლოს ლიტერატურის გაძლიერებასა. გორში ეხლა თითქმის არავინ იწერს სომხურს გაზეთსა და ჟურნალს, მაგრამ რა გასამტყუნარნი არიან, როცა

ყრო მკვლელის ცოლ-შვილი და ნათესავები.

** ათს ამ თთვისას სპარსეთის ქვეშევრდომი ალხაზ-ბაბა-ოღლი გაუფრთხილებლობით ქვეშ მოექცა ლოკომოტივს, რომელმაც მარცხენა ხელი მოამტვრია. ალხაზ-ბაბა-ოღლი რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

** 11-ს აგვისტოს სპარსეთის ქვეშევრდომი სეიდ-ნასრულა-სეიდ-ბაგირ-ოღლი წაეჩხუბა ტფილისის მცხოვრებს ივანე გოლდოვს. ბაგირ-ოღლიმ ბებუთით დასჭრა მარცხენა გვერდში გოლდოვი. დაჭრილი გაგზავნეს საავადმყოფოში. დამნაშავე დაჭერილია და გამოძიება სწარმოებს.

## უცხოეთი

გერმანია. ერთს რუსულს გაზეთში მოყვანილია ამას წინანდელი შესანიშნავი სიტყვა იმპერატორის ვილჰელმისა, თქმული ოდერის ფრანკფურტში, და მერე ასეთი მსჯელობა დაბეჭდილი ამ სიტყვის გამო: „ამაზედ ცხადად და გარკვევით, ამაზედ გაბედულადა და რიხიანობით ალარ შეიძლებოდა ეცნობებინა კაცს საფრანგეთისა და მთელის ევროპისათვის, რა აზრისაა გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი ელზას-ლოტრენის შესახებ. იყო დრო, როცა ზოგიერთნი ფრანგნი ჰგონებდნენ, რომ ხელ-მეორედ ომი საჭირო არ არის გერმანიასთან, თავისს დროზედ თვით გერმანია დაუთმობს ამ ორს ძალად წართმეულს პროვინციას საფრანგეთსაო. ასე ჰგონებდა თვით გამბეტაც, რომელიც დიდი მომხრე და მოციქული იყო სამაგიეროს გადახდისა და სულ იმას ჰქადაგებდა, რომ უნდა დავიბრუნოთ ისევ ელზას-ლოტრენიო. ამ ნაწილს ფრანგებისას უფრო ფრიდრიხ II იმედი ჰქონდათ. ფრიდრიხ III დიდ-სულოვანი კაცია, დიდად განათლებული და თავისუფლების მოყვარე; ის არ მოინდომებს, რომ ელზას-ლოტრენი გერმანიას დაუკავშიროს სამუდამოდაო. მაგრამ ფრიდრიხი მალე გარდაიცვალა და თავისს ხან-მოკლე მეფობაში ისეთი საბუთი არა დაუტოვებია რა, რომ იფიქროს კაცმა, ჰქონდა თუ არა განზრახვა იმპერატორს, თუნდა დიდს ხანსაც ეცოცხლნა, რომ მშვიდობიანად დაეთმობდა საფრანგეთს ელზას-ლოტრენსაო. ეხლა-კი ამ მხრივ ფრანგები იმედს ვეღარას იქონიებენ. როგორცა ჩანს იმპერატორის სიტყვიდამ, ელზას-ლოტრენის დაბრუნება საფრანგეთის მიერ შეიძლება მხოლოდ ომითა და ბრძოლით. ომიც ომსა ჰქვიან. გერმანიის იმპერატორის სიტყვას თუ ჩაუფიქრდა კაცი, ეს ომი ისეთი ომი უნდა იყოს, რომ ან საფრანგეთი უნდა დაიღუპოს, ან გერმანია. ეს არის ის ომი, რომელიც ასე აშინებს და აძრწუნებს ევროპას, და რამდენჯერაც მოახლოვდა დრო ამ ომისა, კვლავ გადადებულ იქმნა სხვა დროისათვის. ასეთი ომი მაინც ორთა სახელმწიფოთა ომი არ იქნება. იმაში, ძალაუნებურად, მიიღებენ მონაწილეობას ყველა ჯარნი ევროპისა, ასეთის სისწრაფით მომზადებულნი და შეთოფიარაღებულნი ყველგან, ყველა სახელმწიფოში“.

საფრანგეთი. ლანიონში ერთს კრებაზე რენანს წარმოუთქვამს შემდეგი სიტყვა:

„ძალიან მოხარული ვარ, რომ ჩვენებურთა შორის ვიმყოფები. ლანიონი მაგონებს ჩემს ყმაწვილობას, მეტადრე ის ძველებური ლანიონი, როცა ქუჩები ვიწროები იყო, მკვიდრნი გულ-დინჯნი და აუჩქარელნი. მაშინ ლანიონი საშუალო საუკუნეთა ქალაქსა ჰგვანდა. დიაღ, სწორედ ამისთანა ქალაქები იყო ხოლმე მაშინ.

„დედაჩემი ლანიონელი ქალი იყო, ჰკვიანი და მხიარული, როგორც სხვა იმისი თანამემამულენი. ესეთი ზნე-ხასიათი ლანიონებისა მე გამომყვა ჩემის დედისაგან და დიდად მადლობელი ვარ იმისი ასეთის ძვირფასის სამკვიდროსათვის. რაკი ლანიონს მოვშორდი, იმას უკან ბევრი ვიარე და ვიმგზავრე, მეტადრე სხვა-და-სხვა ფიქრისა და იდეათა სამეფოში. საიდუმლოდ მოგახსენებთ, რომ ამ ხანგრძლივის სიარულისა და მგზავრობისაგან იდეათა შორის მხოლოდ ის შევიგენი და იმაში დავრწმუნდი, რომ ჩვენ ყველანი დიდი უმეცარნი ვართ. მაგრამ ამ ფიქრში ტრიალმა, იდეათა შორის მგზავრობამ ერთი სხვა კარგი ჭკუა მასწავლა: შეწყნარება და პატივისცემა სხვათა ფიქრისა, აზრისა და გრძნობისა. ვისაც უყვარს შეწყნარება და პატივისცემა სხვისა ფიქრისა და აზრისა, ოჰ, იმას დიდი მოძღვრება შეუძნია ამ წუთი-სოფლისაგან. 1830 წელს ლანიონში ვიყავით. მაშინ ხომ რევოლიუცია მოხდა პარიჟში. მამიდაჩემთან შემოვიდა ერთი ჩვენი მეზობელი დედაკაცი და გვითხრა: „პარიჟში უთუოდ რევოლიუციაა, სამრეკლოზე წითელი ბაირაღი აუმართავსთო“.

1830 წლის შემდეგ ძალიან გამწვავდა ლანიონში ბრძოლა დასთა შორის. დასი ორი იყო: ფილიპეს მომხრენი და კარლოსისა. მე შვიდის წლისა ვარ და სკოლაში დავდიოდი. ერთმა ჩემმა ამხანაგმა შემაყენა ქუჩაში და მრისხანეთ მკითხა: მითხარი ჩქარა, შენ რომლის დასის მომხრე ხარო? ჩემ ბედად ჩემმა დიდმა ამხანაგმა გაიარა ამ დროს და უთხრა განრისხებულს: „თავი დაანებე მაგას. ეგ არც კარლოსის მომხრეა და არც ფილიპესი. რენანი პატრიოტია“. მართალიც იყო, იმიტომ-რომ მე მართლა პატრიოტი ვარ და ჩემთვის ძვირფასია როგორც დიდი სამშობლო საფრანგეთისა, ისე პატარა ჩემი ქვეყანა ბრეტანი, სადაც დავბადებულვარ.

„მაგრამ გითხრათ თუ არა? მე ძრიელ მეწყინა, როცა დავბრუნდი აქ ამ ბოლოს დროს და შევნიშნე, რომ დღესაც ძრიელ დიდი განხეთქილება ჰსუფევს დასთა შორის ჩვენებურებში. ეს დიდად სამწუხაროა. ჩვენში-კი ვსთქვათ, რამდენი კარგი ხალხია ყველა დასში! კლერიკალებშიაც-კი ბევრნი არიან კარგი კაცები.

„დასასრულ, ვსთხოვ ყველას, ვინც აქა ბრძანდება და ვინც ჩემის სიკვდილის შემდეგ მომიგონებს და დღევანდელს კრებას გაიხსენებს, სთქვას ოდესმე ჩემზედ: „ჩვენ გვინახავს რენანი. არ ეტყობოდა, რომ ბოროტი კაცი ყოფილიყოო“.

## წვრილი ამბები

დ-რის კოხან დოილის „The Nineteenth Century“-ში დაბეჭდილია წერილი, რომელშიაც ნათქვამია, თუ როგორ განაწილდება სხვა-და-სხვა გამოჩენილთა კაცთა რიცხვი შეერთებულ სამეფოს ქვეყნებზედ. შეერთებულ სამეფოში სულ 1,150 სხვა-და-სხვა გამოჩენილი კაცია, რომელნიც ასე განაწილდებიან: ინგლისში—824, შოტლანდიაში—157, ირლანდიაში—121, საზღვარ-გარეთ დაბადებულია 49. ორთა შუა რიცხვით რომ ვიანგარიშოთ, შოტლანდიის 22,000 მკვიდრზედ ერთი გამოჩენილი კაცი მოდის, ინგლისში ერთი 30,000 მკვიდრზედ, ირლანდიაში ერთი 49,000 და ვალისში ერთი 58,000 სულზედ. ლონდონში ერთი განთქმული კაცი 16,000 მკვიდრზედ მოდის, ხოლო პროვინციალურს ქალაქებში-კი ერთი 34,000-ზედ. საკვირველიც არ არის ეს გარემოება, რადგან ქალაქში უფრო ადვილად და ჩქარად განვითარდება კაცი, ვიდრე დაბად და სოფლად. თვით ლონდონში სულ 235 განთქმული კაცია: 60 მწერალი, 37 არტისტი, 13 პოეტი, 10 მეცნიერი, 20 ღვთის-მეტყველი, 34 სწავლული, 4 სამხედრო წოდების კაცი, 4 ზღვის გემზედ მსახური, 8 კავშირის წევრი, 12 ექიმი, 5 მოქანდაკე და 22 კიდევ სხვა-და-სხვა მხრივ გამოჩენილი და ცნობილი.

— ლონდონში შემდეგი ამბავი მოხდარა. ერთის წიგნებით მოვაჭრეს ცოლს, მისტრის ფერნჩის, ძალიან სტკიებია კბილი, წასულა კბილის ექიმთან, ექიმი შინ არ დახვედრია, ხოლო იქა უოფილა ამ ექიმის ხელ-ქვეითი. მისტრის ფერნჩის ამ ხელ-ქვეითისათვის მიუნდვია კბილის ამოღება. ყმაწვილს კაცს უთქვამს, რომ თუ ტკივილს უგრძნობლად ... თხით, ბანგს დაგალევინებთ და ისე ამოგიღებთო. როცა მეორე დღეს ექიმი დაბრუნებულა, მხოლოდ ქალის უსიცოცხლო გვამი-ღა უხილავს. გვამის გარშემო სხვა-და-სხვა შუშები და ადამიანის გრძნობაზედ მოსაყვანი და მოსაბრუნებელი საშუალებანი ყრილა. სჩანს თურმე, რომ ექიმის ხელ-ქვეითი ბევრსა სცდილიყო ქალის მობრუნებას. ექიმს აგრეთვე გატეხილი დახვედრია თავისი საწერელი სტოლი და ფულები ამოღებული. სტოლზედ შემდეგის შინაარსის ბარათი დებულა: „ჩემი გაუფრთხილებლობა ერთს ადამიანს სიცოცხლედ დაუჯდა. ფულები მჭირია, რომ დავმალო ვიყიდო. როცა ამ სტრიქონებს ამოიკითხავთ, ცოცხალი აღარ ვიქნებიო“. აქამდე არ შეუტყვიათ ჯერა, თუ რა დაემართა ამ ხელ-ქვეითს ექიმისას. საბრალო დედაკაცის ქმარი-კი მეტად მწუხარე თურმე და ლამის არის ამ მწუხარებით ჭკუისაგან შეიშალოს.

— მატყუარები თანდათან უფრო და უფრო ვრცელდებიან და სულ ახალსა და ახალს საშუალებას იგონებენ ხალხის მოტყუებისა და ძარცვისას. მაგალითად, ევროპაში ამ ჟამად გავრცელებულან ესრედ წოდებული თეატრის აგენტები, რომელიც არც თესს, არცა მკის, არც მღერის და არც სცეკვს, მხოლოდ ფულსა ჰკრეფავს მარცხნივ და მარჯვნივ. ანტრეპრენიორებს ამ კაცისა ძალიან ეშინიანთ, რადგან თუ თავისს ამხანაგებს მისწერა გარმავსა, კიევსა, ზუქარესტსა, პეშტსა, ვენასა და სხვა ქალაქებში, იმის შესახებ ისეთს ხმას დაჰყრიან ქვეყნად, რომ არც ერთი გვარიანი არტისტი აღარ ინდობა. ასე წარმოიდგინეთ, მკვრეულებსაც-კი უპოვნიათ ერთი საშუალება, რომლის წყალობითაც ადვილად ასაღებენ თავისს საქონელს კაი ფასად. როცა მსყიდველი ტანისამოსს იზომავს ზედ, ერთს რომელსამე ჯიბეში რაიმე ძვირფასს ნივთეულობასა ჰხედავს. ზოგიერთთ ძალიან უნდათ ხელში მოიგდონ ეს ნივთი და იმის გამო ჰყიდულობენ ტანისამოსს და ფასს თითქმის ერთი-ორად აძლევენ. ტანისამოსს იყიდის თუ არა მუშტარი, ის არის უნდა მოჰკურცხლოს შინისაკენ, რომ ამ დროს ტანისამოსით მოვაჭრე შეაყენებს და ეუბნება: „უკაცრავად, თქვენ მიერ ნაყიდის ტანისამოსის ჯიბიდგან ჩემის საათის ამოღება დამავიწყდა. გთხოვთ, ახლა-კი მიბრძანდითო“. ხოლო ხშირად გაჰქრიან სტყუვდება. ამას წინად, მაგალითებრ, შესულა ტანისამოსის მაღაზიაში ვიღაც N და ამოურჩევია პალტო. 18 მანეთიანში 25 მიუცია ვერცხლის სათამბაქოს სიხარბით, რომელიც ამ პალტოს ჯიბეში შეუნიშნავს, მაგრამ გამოსვლის დროს ნივთი გამოურთმევიათ. რამდენისამე

---

სომხური ენა არ იციან. ვინ პირშავი იტყვის: სომხური ენა და სიმღერები კარგი არ არისო? კარგია-კი, მაგრამ იმათთვისაა კარგი, ვისაც ესმის, და არა ზოგიერთის აქაურის სომეხისათვის. იტალიური ოპერა, მოგეცათ ღვთის წყალობა, კაი იყოს, მაგრამ მე და ჩემისთანებისთვის მიუხვედრელია. ევროპიული ხმები რომ არის, ენა მაინც უნდა გესმოდეს, რომ მიხვდე ლაზათს მუსიკისას, დააფასო იმისი შნო, იგრძნო სიღრმე ხმით გამოთქმულის სიტყვისა. რაიცა შეეხება თავისის ენის დავიწყებას, არც ჩვენი ზოგიერთი ქართველები ჩამორჩებიან აქაურს სომხებს, უმეტესად ახალგაზდა ქალები: მთელს დღე-ღამეს იყვნენ გორში და ვერ გაიგონებ იმათგან, რომ თავიანთ ენაზედ ლაპარაკობდნენ და ან ჩვენებურს ტანთ ჩაცმულობას ეტანებოდნენ. ასში ერთხელ, როცა სიტყვა შემოელევათ უცხო ენაზედ, მხოლოდ მაშინ აქა-იქ გაურევენ ქართულს, როგორც ხორბალში ურევია სურმა. უყურებთ ამ ნატამალთ ჩვენის სახელოვანის დედებისას და გული კვნესით ამას-ღა ამბობს:

ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო!
სალამი თქვენდა, ტკბილ-სახსოვარნო!

**

ეჰ, ღმერთმა მშვიდობა მისცეთ აქაურს ქალებს. ამათ მაინცა და მაინც რა მოეთხოვება? მე მაქვს საქმე იმ პროვინციელ განათლებულ „ინტელიგენტებთან“, ლიტერატორებთან, რომელნიც მხოლოდ დროს ატარებენ თითო-ოროლას კიცხვაში და მერე გასაკიცხავადაც ისეთს ამოიღებენ ნიშანში, რომლის სიკეთე თვალითა სჩანს, ვისნი საქმენიც თვით ჰღაღადებენ მოსაქმეს მადლიანობას, კაცურს კაცობას. აგერ სამი წელიწადი მიდის, რაც გორის მაზრაში ფრიად საყურადღებო და საქებური საქმე დაიწყო, მაგრამ იმას არავინ ჰყავს აღმწერი და ღირსებისამებრ დამფასებელი. თუმცა ერთხელ განიზრახეს აქ ეს საქმე დაწვრილებით შეესწავლათ და მერე აეწერათ ქართულს მწერლობაში, მაგრამ განზრახვა ვერ შესრულდა ჯერჯერობით.

შეიძლება მკითხველს სურვილი ჰქონდეს გაიგოს რა სასარგებლო საქმეა ჩემ მიერ ხსენებული საქმე? მოგახსენებთ. ეს საქმე გახლავსთ ბ-ნის გ. დ. ქართველიშვილისა და ამხანაგობის ხის სახარში ქარხანა.

ამ ამხანაგობას გორის რკინის გზის სადგურიდგან აქვს გაყვანილი ორმოც-და-ათის ვერსის მანძილზე საკუთარი რკინის გზა ატენის ხეობაში, სადაც აქვსთ მრავალი ორთქლის მანქანები, ვაგონები და ამ სიშორეზედ არის რამდენიმე უზარმაზარი სადგურები, სახელოსნო, სატელეფონო და სხვანი. აგრეთვე ქარხნები ორთქლისა სხვა-და-სხვა მასალების სახერხნი და მოსახარშნი მუშაობენ ყოველ დღე. ზედ უნდება ათასის კაციდგან ოთხი ათასამდე. თითოეულად აქვსთ ჯამაგირი მუშებს თერამეტის მანეთიდგან სამას მანეთამდე, დღიურს მუშას ოთხი აბაზიდამ ერთ მანეთამდის. აქ მუშაობს აგრეთვე მრავალი ხარი, კამბეჩი და ცხენი. მუშა ხალხი ყველა რჯულისაა, მაგრამ უფრო და უფრო მეტი ჩვენი ქართველობაა. ამ ქარხნის გამართვამდის, მე თითონ ვიცი, რომ იქ, ხვნისა, თესვისა და მკის გარდა, დღეში მუშას იშოვნიდი ხუთ შაურიდამ ორ აბაზამდე, დღეს-კი, თუნდა შუაგულს ზამთარში, ვერ იშოვნი მანეთს ნაკლებ. ან კი რად დადგება სხვასთან ნაკლებად, როცა ამ ქარხანაში ეძლევა იმდენი და როცა უნდა, ყოველთვის იმუშავებს, ყოველთვის ალაგიც არის; როცა სურს, თავის შესახვედრს ფულს მიიღებს და სიხარულით დაბრუნდება თავისს ცოლშვილში. ნუ თუ ყოველივე ეს დიდად სასარგებლო საქმედ არ ჩაითვლება?

ამ საქმის გამო ამ ჩვენს საქართველოში ყოველ წლივ მილიონამდის ფული ტრიალებს. ვსთქვათ, რომ ამხანაგობამ თუნდა სარგებლობაც ვერა ჰნახოს, ამ მუშა ხალხს ჩვენს საქართველოსას და სხვა მრავალს მაინც სარგებლობა აქვს და ექნება ასე დიდად, ვრცლად და საფუძვლიანად დაწყებულის საქმისაგან. მაგრამ ზოგის ენა-კი აქაც არ დადგა და მხოლოდ იმიტომ ხანსარებს, რომ დაჰკბინოს, დაჰშხამოს ვინმე. ვინ იცის, კაცნი ვართ, ცოდვა და ცთომა ყველას თავსა ტრიალებს. იქნება ხანდახან სტყუიან და უკაცრავად იქცევიან ზოგიერთნი წევრნი ამხანაგობისანი, იქნება ათასში ერთხელ უსამართლოდაც იჩაგრება ვინმე და ჯამაგირი დაეკირება ხოლმე, მაგრამ ყოველივე ეს უსამართლობა კაცის ბუნების ნაკლებულებას მიეწერება და არა ბუნებას საქმისას; ამას გარდა დიდი არაფერია, მხოლოდ წვეთია ზღვაში, ამ დიდსა და კეთილს საქმეში, და დიდი ცოდვაა, ვიძახოთ ზოგიერთ გრძელ მატრაკვეცასავით: „არა, ეგ საქმე სულ ტყუილზეა აშენებულიო!“ არა, ტყუილზე აშენდეს და ამოდენა საქმე!! ღმერთო, შენ დაგვიხსენ უარესისაგან! მაგრამ რას ავტეხილვართ ჩვენცა და ვრეკავთ ყურუმსაღებისათვის: იმათი საქმე ხომ დარდიმანდობა და ჩათუქესნობაა. განა მთელს თავიანთს სიცოცხლეს ასეთი ვაჟბატონები ისე არ ატარებენ, რომ ზარის რეკაზე ერთხელაც არ დაიწერენ პირჯვარს გულითა და სულით, სასოებით, ადამიანობით.

აგსა კაცსა ავი საქმე
ურჩევნია სულსა, გულსა!

ერეკლე რამიშვილი

გორი, 30 ივლისი

დღის შემდეგ ისევ N შესულა კვლავ და სერთუკს შეჰვაჭრებია. ამ სერთუკშიაცა დებულა ვერცხლის სათამბაქო. ეს ვერცხლის სათამბაქო შეუცვლია თუნუქის, ხოლო შევერცხლილის, სათამბაქოთი. ამის შემდეგ სერთუკის ყიდვაზედ უარი უთქვამს, არ მომწონსო. ყალბი სათამბაქო უპოვნიათ, მაგრამ... გვიანღა ყოფილა, N უკვალოდ გამქრალა.

◆◆

# დეპეშა

11 აგვისტო

ნიჟნი-ნოვგოროდი. ალებ-მიცემა კარგად მიდის. დაბალი და შუათანა ჩითები კარგად ისყიდება, ფასიც მოიმატა. საზოგადოდ ჩითების ყიდვა კარგად მიდის. 2 და 3 აგვისტოს ფასები დასწიეს მაღალის ღირსების ჩითებისა და ამ გარემოებამ ცუდად იმოქმედა ვაჭრობაზე. მსყიდველები შესდგნენ და საქმე ცოტაოდნად შეფერხდა. მაუდები შარშანდებურად და შარშანწინდებურად წელსაც ვერ იყიდება კარგად. ბეწვეული კარგად ისყიდება: ბეწვეულ ის სასყიდლად მოვიდნენ მსყიდველნი საზღვარ-გარეთიდამ. მოლოდინი აქვსთ, რომ კარგი მაზანდა დამყარდებაო. წვრილ-წვრილად ვაჭრობა სხვა-და სხვა საქონლისა ტაატით სწარმოებს.

ორენბურგი. აქ ცეცხლი გაჩნდა იმ დროს, როცა დიდი ქარი იყო. გადასწვა სულ ერთიანად ძველი სლობოდკა და ერთი ნაწილი ახალისა. ნეპლიუევის კადეტების კორპუსიც დაზიანდა.

ვენა. დიპლომატებს შორის ლაპარაკობენ, რომ კრისპისა და თ. ბისმარკის მოლაპარაკება ფრიდრიხსრუეში მხოლოდ იტალიისა და საფრანგეთის ურთიერთობას შეეხებაო. სეკტემბრის დამდეგსვე აპირობენ გამართონ კრება რამდენისამე მეფაურის სახელმწიფო კაცისა. ამ აზრით თვით ბისმარკი მოიწვევს, ვინც საჭირონი იქმნებიან. კრებაზედ ილაპარაკებენ უფრო ბოლგარიის საქმის გამო. ბოლგარიის მთავრობა სტოილოვსა ჰგზავნის ბერლინში და ავალებს, რომ იქ იყავი, როგორც კერძო კაცი, და ნამდვილი ცნობანი შეგვატყობინე ხოლმეო.

12 აგვისტო

პეტერბურგი. გაზეთი „С.-Петер. Вѣд."-ი იუწყება, რომ 15 აგვისტოდგან ზურგის ჯარში ჩაირიცხებიან ის ჯარის-კაცნი გვარდიის ქვეითის ჯარისა და ქვეითის არტილერიისა, რომლებიც სამსახურში ითვლებიან 1884 წლიდგან. იმათ შემდეგ ზურგის ჯარშივე ჩაირიცხებიან იმ ჯარის-კაცთა ნახევარი, რომლებიც 1885 წლიდგან ითვლებიან სამსახურში და რომლებმაც კიდევ წელიწად ნახევარი უნდა იმსახურონ. ეს ჯარის-კაცნი წლის ყრით უნდა ჩაირიცხონ ზურგის ჯარში.

ორენბურგი. სულ დამწვარა 1300 სახლზე მეტი, დაზარალებულნი დაბინავდნენ მეიდნებზე და მინდორში. უსახლ-კაროდ დარჩა 10,000 კაცამდე. გუბერნატორი ჰმართავს კომიტეტს, რომელსაც საგნად ექნება დაეხმაროს დაზარალებულებს.

პარიჟი. თავისს საპასუხო ნოტაში იტალიის ნოტაზე მასსოვის შესახებ საფრანგეთის მართებლობა აცხადებს, რომ ამას იქით ლაპარაკი იმ საქმის თაობაზე უნაყოფო იქნება და იმისი გადაწყვეტა დამოკიდებული უნდა იყოს ოსმალეთზეო.

◆◆

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

აგვისტო 31 დღით არის.

13 დღე შაბათი. ღირსისა მაქსიმესი. კათოლ. ჰიპოლიტისა. სომეხ. ნავაკატუკი და ნახატონაკი. მუსულ. მე-17 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1. ტფილისში მზე ამოდის 5—18, ჩადის 6—45. მთვარე 19 დღისაა.

14 დღე კვირა. ღირსისა მიხეილისა, კათოლ. ეპისკ. ევზებიასი. სომეხ. მიცვალება ყოვლად წმ. ღვთის-მშობლისა, ყურძნის კურთხევა. დღესასწაული ფეთხაინის ეკკლესიაში. მუსულ. მე-18 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1. ტფილისში მზე ამოდის 5—19, ჩადის 6—44. მთვარე 20 დღისაა.

15 დღე ორშაბათი. მიძინება ყოვლად წმ. ღვთის-მშობლისა. დღესასწაული ვლახერნის ღვთის-მშობლისა სოფ. ქვაბთახევში, წილკნისა—ქართლში, აწყურისა და გელათისა—ქუთაისს ახლო, ზეთლემისა—ტფილისში. ამ დღეს მარტყოფს და ალავის მონასტერში, დუშეთს ახლო, დიდ-ძალი მლოცველი იკრიბება. კათოლ. მიძინება ყოვლად წმ. ღვთის-მშობლისა. სომეხ. განსვენებულთა მოხსენება (მერელოცი). მუსულმ. მე-14 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1305 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1. ტფილისში მზე ამოდის 5—20, ჩადის 6—43. მთვარე 21 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 აგვისტოდამ 1 სექტემბრამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | . | 5 კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | . | 3 „ |
| „ 2 | „ | 2½ „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | | 5 „ |
| „ „ 2 — | | 3½ „ |
| „ „ 3 | „ | 3 „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | „ |
| 1-ლის ხარისხისა | . | 5 |
| მე-2 ხარისხისა | . | 4 |
| მე-3 — . | . | „ „ |
| ძროხის ხორცი . | . | 8 „ |
| „ 2 | „ | 7 „ |
| სუკი . | . | 14 „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | 8 „ |
| ღორის ხორცი . | . | „ „ |
| „ 2 | „ | „ „ |

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი . | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი. | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები. . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 03 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 0 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი. . | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 08 | 12 | 11 | სამტრედია. | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი. | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური . . | 11 | 02 | 1 | 17 | რიონი. . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი. . . | 2 | — | 2 | 03 | ყვირილა . . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელოგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელოგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი. | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი . . | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია. | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 05 | 8 | 07 | გორი . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი. . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი. . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები. . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი. | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . | 11 | 13 | — | — | ტფილისი . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათზედ და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | საღამოთი | | | |
| ტფილისი . | — | — | 3 | 21 | სურამი . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | გორი . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა. . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური . . | 8 | 54 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | ტფილისი . | 8 | 24 | — | — |


# განცხადებანი

ქ. გორში, ოროლის ქუჩაზე, თვალიევის სახლში გაემართე ერთკლასიანი კერძო სასწავლებელი ვაჟთათვის. ამ სასწავლებელს საგნად აქვს მისცეს ყმაწვილებს პირველ-დაწყებითი სწავლა-ცოდნა და აგრეთვე მოამზადოს იგინი სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლების პირველ კლასებში შესასვლელად. მიღება ყმაწვილებისა დაიწყება 25 მარიამობის თვიდგან. სწავლის ფასი თითოზედ თვეში 2 მანათი.

კონსტანტინე გრ. ძე ცხვედაძე
(10—5)

ტფილისში

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიის წიგნთ-საწყობში ისყიდება

მ. ჯანაშვილის მიერ

შედგენილი წიგნები:

ა) საქართველოს საეკკლესიო ისტორია (ფასი 45 კ.);

და ბ) საქართველოს მოკლე ისტორია (სამი აბაზი).

შენიშვნა. უკანასკნელი გამოცემა სახალხო განათლების სამინისტროს გან „მოწონებულია იმ სა წავლებელთათვის, რომლებშიაც ასწავლიან ქართულს ენას" (სამინ. მოხს., 24 ოქტომ. 1884 წ., № 6037).

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენი-ლი წიგნები:

| | |
|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან . . . . . . . | მან. კაპ. ,, 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . . | ,, 15 |
| სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კვიცარიძისა . . . . . . . | › 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა 1 ნაწ. . . . . . | 1 50 |
| II ნაწ. . . . . . | 1 50 |
| ბუნების მოყვრენი, ს. მესტიაშვილისა . . . . . | „ 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის" გამოცემა. . . . | „ 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | ,, 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . . | ,, 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 ,, |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . . . | „ 25 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . | ,, 20 |
| ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . | ,, 50 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 50 |
| ვაზის ობი. . . . . . . | „ 10 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | „ 30 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა . . . | „ 30 |
| სიკვდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან. | „ 5 |
| მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა ღამბაშიძისა . . . | „ 5 |
| გაენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . . | „ 25 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა . | „ 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გუღისაშვილისა . . . . . | „ 15 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ 50 |

თეთრი და შავი პილპილი,

დაფქვილი

რ. კიოლერისა და ამხ. ფაბრიკაში, მოსკოვს.

ეხლა თითქმის ჩვეულებრივი მოვლენაა ვაჭრობაში, რომ დაფქვილს პილპილს ურევენ და ყალბადა ჰქმნიან. ეს სიყალბე ისე საზღვარს გადავიდა, რომ დაფქვილს პილპილს სახელი სრულიად გაუტყდა მსმარებლებში. აი ამიტომაც ფირმა „რ. კიოლერისა და ამხ., მოსკოვში" ამით აცხადებს, რომ იმისს ფაბრიკაში დაფქვილი პილპილი (და აგრეთვე სხვა სამზარეულოსათვის და სუფრისათვის საჭირო სანელებელნიც) აცილებულია ყოველსავე სიყალბესა და სხვა რამეთი შერეულობას.

ისყიდება პროვინციაში ყველა დიდ მოვაჭრეებთან; მოსკოვში—რ. კიოლერთანა და ამხ., ნიკოლსკის ქუჩაზედ. 3—3 (ц.)

ყველა მზრუნველი მეოჯახე

დიდის სიამოვნებით ისარგებლებს რ. კიოლერისა და ამხ. წინადადებით და იყიდის მეტად უსაჭიროესსა და უსასარგებლოესს საშუალებას, რომელიც თითქმის ნახევარ ფასად ისყიდება, ისეთს ფასად, რომ არცა თქმული და არც გაგონილა. ეს საშუალება არის

ქინაქინა

და ამასთან სახმარებლად ისე კარგად მომზადებულია, რომ ბრინჯის ფქვილის ცომშია გახვეული სხვა-და-სხვა წონა გოგირდ-მჟავე და მლაშემჟავე ქინაქინა, სადვაბრიკო წესით გაკეთებული მოსკოვში, რ. კიოლერის ანდრონიევის აფთიაქში. ნამდვილი ფასი ამ ქინაქინასი პატარა-პატარა ყუთებში, რომელშიაც თორმეტ-თორმეტი ცალია, გახლავსთ შემდეგი:

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 10 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ყოველ | 25 კ., | 35 კ., | 40 კ., | 45 კ., | 50 კ., | 85 კ. | გრანი გოგირდ-მჟავე ქინაქინა |
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 10 | |
| და ყოველ | 28 კ., | 40 კ., | 45 კ., | 50 კ., | 55 კ., | 95 კ. | გრანი მლაშე-მჟავე ქინაქინა. |

ქინაქინას ანდრონიევის აფთიაქის ბეჭედი აქვს დასმული.

ისყიდება პროვინციაში ყველა დიდ მოვაჭრეებთან; მოსკოვში—რ. კიოლერთანა და ამხ., ნიკოლსკის ქუჩაზედ. 3—3 (ц.)


Доз. ценз. Тифлисъ, 12-го Августа 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა, (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე